შინაგან საქმეთა სამინისტროს

მოგესალმებით, "რადიო თავისუფლება" ამზადებს მასალას, 2022 წლის 30 მაისს სამგორში, 74-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის მომხდარ დაპირისპირებაზე, რასაც მოყვა 1 არასრულწლოვნის დაჭრა.
აღნიშნულ ფაქტზე დაპატიმრებულია ერთი არასრულწლოვანი.
რადიო თავისუფლება ესაუბრა ჩხუბში მონაწილე არასრულწლოვნებს, მათ მშობლებსა და ადვოკატებს. მათი ნაწილი ამბობს, რომ არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს გამომძიებლებმა მათი უფლებები დაარღვიეს.
კერძოდ:
1. არასრულწლოვნების ნაწილი ამბობს, რომ მათ გამოკითხვებში გამომძიებლების ზემოქმედებით დაფიქსირდა ისეთი ფაქტები რაც მათ არ უნახავთ და სიმართლეს არ შეესაბამება.
2. არასრულწლოვნები ამბობენ, რომ პოლიციაში მათი გამოკითხვა მიმდინარეობდა გვიან ღამემდე, ისინი სამმართველოში გააჩერეს კანონით დადგენილი ზღვარის,
22 საათის შემდეგ.
3. ორი არასრულწლოვანი და მათი კანონიერი წარმომადგენელი "რადიო თავისუფლებასთან" ამბობს, რომ მათ მიმართეს გამომძიებლებს და მოითხოვეს მათი არაზუსტი გამოკითხვის ოქმების დაზუსტება, თუმცა გამოძმიებლებმა ისინი ხელახლა არ გამოკითხეს.

მათ მიერ აღწერილი გარემოებები მიანიშნებს არასრულწლოვანთა მართლსმაჯულების კოდექსის შესაძლო დარღვევის ფაქტებზე, რაზეც ჩვენი ინფორმაციით გამოძიება აქვს დაწყებული სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.

გთხოვთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი კომპეტენციის პირმა, მოგვცეს განმარტება ზემოაღნიშნულ საკითხებზე.

პატივისცემით, გიორგი მგელაძე

რადიო თავისუფლების ჟურნალისტი